№ 132 5 ქრისტეშობისთვე, ქვირა 1866–1876 5 ქრისტეშობისთვე, ქვირა № 132

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. Адресъ: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
Отдѣльные нумера — гривенникъ.

# დროება

გამოდის ქართულით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება
მიიღება ქართულის, რუსულს, სომხურის და ფრანგულის ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, ტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონით, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება"

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების" რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: **აკაკი წერეთელი** და **ნიკ. ნიკოლაძე**.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, ყოველ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

### ხელის-მოწერა

მიიღება **თფილისში** — „დროების" რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბაზრის ქუჩაზე. Абаტუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба."*

**სხვა ქალაქებში** „დროებაზე" ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), **ფოთში** — თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და ილ. ბაბალოვთან, **ახალ სენაკს** — ნიკ. დგებუაძესთან **ზუგდიდს** — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, **ოზურგეთს** — ანტ. ჯაფარიძესთან, **უმირ ლაში** — მ. დად. ლამბაშიძესთან, **გორს** — აღალო თუთაევთან, **სიღნაღს** — იოსებ სულხანოვთან და **თელავს** — თ. ლევან ჯანდიერთან.

**გაზეთის ფასი** — გაგზავნით და გაუგზავნელად

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში | 8 | „ |
| ნახევარ წელიწადში | 4 | და 50 |
| სამის თვისა | 2 | და 50 |
| ერთის თვისა | 1 | — „ |

**ამჟამად საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების" აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი **სტ. მელიქიშვილი**
რედაქტორი **ს. მესხი.**

## საქართველო

### ჩვენი რკინის გზა

ეს მეხუთე ზამთარია, რაც ჩვენი ფოთი-თფილისის რკინის გზა გარხვნა; მეხუთე წელიწადია, რაც ჩვენი ხალხისა და მმართებლობის დიდი ხნის ნატერა, რომ ჩვენ ერთმანერთში და უცხო ქვეყნებთან კავშირი გაგვადვილებოდა, სანაბეროდ მაინც შეგვეუსრულდა.

შეგვისრულდა კი, მაგრამ ჯერ ერთი რომ გზა ჭუთაისს ასცილდა.

მაგრამ ამას არ დაესდეთ: რაც მოხდა, მოხდა; უბედურება ეს არის, რომ ეს გზა სხვაფრიეაც თითქო უბედურს მთავარეზედ არის დაბადებული.

ამ ხუთი წლის განმავლობაში დროითი-დრო საჩივარი გვესმის, უკმაყოფილებას აცხადებენ, უწესოებასა და უთაურობას ეხედავთ. ხან მთვრალი მაშინისტების წყალობით ვაგონები ვაგონებს ეჯახება და ხალხს ხოცენ, ხან ლოკომოტივი კლდეზე გადავარდება, ხან კონდუქტორები აწუხებენ და აიწროებენ ხამ მოგზაურ ხალხს, ხან საქონელი თითო კვირაობით ჰყრია რომელსამე სტანციაზე ხშირად გარეთ წვიმაში, ლაფში და ლპება, ფუჭდება, და ხან გზა სრულიადაც იკვრება.

ამ გვარი შემთხვევები და იმასთან ერთად საჩივრები და საყვედური ყველაზე უფრო ხშირად ყოველ ზამთარისშის ხოლმე.

მოთოველისა და უფრო თოვლის დნობის დროს იწყება ხოლმე ჩვენი რკინის გზის გაჭირების დღე; ცოტაოდენიც არი ნიაღვარი გაჩნდება თუ არა, იმწამსვე წალეკავს ხოლმე გზას, ხიდები ფუჭდება და ამგვარად ხალხი და საქონელი რამდენიმე დღით, ხან თითო კვირაობითაც უგზოთ რჩება.

აი ახლაც: სურამზე წვიმები ყოფილა და ამათ სურამიდამ მოყოლებული ბეჭათუბნამდი რამდენსამე ალაგას ისეთ ნაირად გაუფუჭა გზა და ხიდები, რომ ეს მეხუთე დღეა ამ გზით ველარც მოგზაურები დაიარებიან და ველარც ფოჩტა გადმოაქვთ. და ამბობენ, რომ ერთს კვირაზე ან კვირა ნახევარზე ადრე გზა ვერც გაკეთდებაო! საუბედუროთ, ჰაეკასიის მთებიდამაც, ალბათ, თოვლი ან ზვავი ჩამოწოლილა გზაზე და ეს სამი დღეა არც რუსეთისა და უცხო ქვეყნის ფოჩტა არ მოგვდის.

ამ უგზობის გამო, ხან და ხან ზამთრობით ვართ მთელს ქვეყანას მოშორებული და ყველა ამბებს მოკლებული.

მერე რა დროს! იმ დროს, როდესაც ევროპაში ამისთანა მძიმე ამბები ხდება, როდესაც ყოველ დღე საყურადღებო და მძიმე შემთხვევებს და გარემოებათ უნდა მოველოდეთ; იმ დროს, როდესაც რუსეთი საომრად ემზადება და როდესაც აქეთკენ ჯარის გადმოყვანა დიდს საჭიროებას შეადგენს! ამისთანა დროს ჩვენ ქვეყანასთან კავშირი გვესპობა.

ახლა მუდამ ასე ხო არ უნდა ვიყვნეთ! Ყოველ ზამთარ ხო რობინზონებად არ უნდა გადავიქცეთ! Ერთხელაც არი ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობამ უნდა მოიფიქროს, რომ ამ გვარს უწესოებას რითაც იქნება ბოლო მოელოს და ამ გზით მსელელობას უფრო მომგებიანი წესი და რიგი მიეცეს.

თავი-და-თავი დაბრკოლება სურამის ქედია: აქ ფუჭდება თითქმის ყოველთვის გზა.

მაგრამ ეს ისეთი დაბრკოლება არ არის, რომ ომის მოსპობა არ შეიძლებოდეს. ამაზე უარესი, უალმართესი და უძნელესი გზა გვინახავს, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩინებულად და უენებელად დადიოდნენ მოგზაურებიცა და საქონელიც დაუბრკოლებლივ გადაჰქონდათ.

Сოტა მომგებიანი ხარჯი, ფულია ამისთვის საჭირო და ბევრი ცოდნა, მოხერხდება. მაგრამ ჩვენი უბედურებაც არის, რომ რაც ამ შემთხვევაში ცოტაა საჭირო, ის გვაკლია, ბლომათა გვაქვს და რაც ბლომათაა საჭირო, ის კი გვაკლია.

ს. მ.

### დღიური

შეიძლება არ იქნება, რომ ჩვენმა ქალაქის გამგეობამ დახურული ბაზრის ახლო-მახლო ქუჩებს მიაქციოს ყურადღება. საზოგადოთ ყველა ქუჩები ამ ძველ ქალაქში ეიწრო, ოღრო-ჩოღროიანია და თუ ცოტა წვიმაც არი, ისეთ ნაირი ტალახი დგება, რომ კაცს სიარულიც უჭირს. მზრის ზეით რომ ქუჩა ჩადის (სიონის წინიდამ, მეიდნისკენ), ის ქუჩა მაინც საყურადღებოა; ამ ეიწრო ქუჩაზე აქეთ-იქით სირაჯის სარდაფებია, რომელთაც კარებები და ფანჯრები არა აქვს დახურული და კაცი იჩეხება ამ კარებში და ფანჯრებში; ერთი მტკეველი ქვა აგია, და ისიც ზოგან აგია და ზოგან არა.

***

ერთი ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს კახეთიდამ, რომ უფ. ი. მუსხელოვმა, თელავში ლესნიჩობის დროს, 1871—1873 წლებში, თავის მეველეებს კარტოფილის თესვა ასწავლაო. თუმცა ის გადაიყვანეს აქედამაო, მაგრამ იმის სახსოვარი ახლაც დარჩენილაო, რადგან მას შემდეგ მთელს კახეთში მოიფინა კარტოფილის თესვა და ხალხი ამაში დიდ სარგებლობასა და შეღავათს ხედავსო.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ადრინდელი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა უფ. დაით ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ-ფრანცუზულ ლექსიკონს ხელ-მეორედ ამბეჭდინებსო და, როგორც დავწერეთ უნს, ამ ლექსიკონში ყველა ის სიტყვები და სიტყვის განმარტება იქნება შეტანილი, რაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება.

***

ერთმა გაპროტესტანტებულ აისორმა — უფ. შანშა შალიმ გვითხრა ჩვენ, რომ რამდენიმე წელიწადიაო, რაც ამერიკაში (ნიუ-იორკში) სომხის პროტესტანტებმა კამპანია შეადგინესო და ამ კამპანიას სხვათა შორის, ამ ჟამად განზრახვა აქვსო, რომ ქართულს ენაზედაც წიგნები დაამბეჭდვინონო. „მე თეითონ მივსწერე ჩემ თანამოძმეებს წიგნიო, გვითხრა უფ. შამშა შალიმ, და ისუხსენი იმათაო — თუ რამდენად საჭიროა აქ საქართველოში იაფი და სასარგებლო წიგნების გამოცემაო, მაგრამ, საუბედუროთ, ჯერ-ჯერობით ამ საჭიროებას კაცი არ აკმაყოფილებსო."

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთის მოქალაქისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა:

„დროების“ ერთ წინანდელ ნომერთაგანში იყო მოხსენებული, რომ ქალაქის ბაზრებში ბევრი უწესობა ხდება და ბაზარნიკები ყურს არ უგდებენო. მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, შაეს რაშზედ შემჯდარიყო ჩვენი ნაცვალი, უკანაც ორი მუშა მოჰყვებოდა ცულებით და იარმუკაზედ ყასპებს ხორცის კუნძები სულ ტ-ლახში მოჰსვარა. იშხანოვის სახლებქვეშ ბაყლის ალაჩუხი იყო გაუქმებული, მუშებს უბრძანა იმის დაქცევა; მუშები ცულებით მისცივდნენ და დაანგრიეს; ახლა იმავე ალაგას ბაყალი ეჯროზს. ეტყობა ნაცვალს გაუჯავრდა—ეს ალაგი გაუქმებული რად არისო!“

*
* *

ბორიდამ გვწერენ, რომ იქაურს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ქალებში ლაპარაკი არისო, რომ სლავიანების სასარგებლოდ ფულები მოაგროვონ.

*
* *

ბორიდამვე ერთი ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს იმ შეცდომებაზე, რომელშიაც იმყოფებიან გორელები იმის გამო, რომ ყველა სარწმუნოების სასაფლაო ქალაქიდამ თითქმის ორს ვერსზედ არისო და გზაც დღემდინ ვერ გაუკეთებიათო. როგორც ცოტა წვიმა მოვა, ისეთ ნაირად ატალახებინდება გზაო, რომ არათუ ფაეტონით, ურმითაც მისვლა არ შეიძლება სასაფლაომდინაო, და მიცვალებულს მუდამ ერთის წვალებით მიასვენებენო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ გზის გაკეთება სულ ერთი კვირის საქმეაო, და მოთავე რომ იყო, ბორის მცხოვრებლები თვითონ დიდის სიამოვნებით იკისრებდნენ ამასაო.

*
* *

სომხურს გაზეთს „მელუში“ შუშიდამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელს ხანებში აქ ისეთ ნაირად გახშირდა ავაზაკობაო, რომ თითქმის დღე არ გაივლის, რომ სადმე ჩვენს უეზდში ავაზაკებმა ერთი კაცი მაინც არი არ მოჰკლანო.

*
* *

ბაქოში და შუშაში, თათრული გაზეთის „აკინჩის“ სიტყვით, ამ უკანასკნელ ორი კვირის განმავალობაში ძალიან ცუდი ტაროსებია: ბაქოში თითქმის ყოველ დღე წვიმს და შუშისაკენ კი განუწყვეტელი თოველი მოდისო.

*
* *

ავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ჭუთაისის ღუბერნიის გამგეობის სოეეტნიკი თ. ერისთავი ჭუთაისისაეე საგლეხო პრისუტსტეიის წევრად დაინიშნება, ზუგდიდის უეზდის უფროსი ბერარდი—ჭუთაისის ღუბერნიის გამგეობის სოეეტნიკად, როტმისტრი მიქაბერიძე—ზუგდიდის უეზდის უფროსად, ჭუთაისის პოლიციმეისტერი რადზეევიჩი—ლეჩხუმის უეზდის უფროსად.

*
* *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნი გაზეთში დასაბეჭდათ:

უფ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს ორიოდე სიტყვა ჩაურთოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, უფ სტალინსკის შენიშვნაზედ, რომელიც „ავკაზის“ მე 141 ნომერში შემომწერია.

უ. სტალინსკი არსენალის ალმართის ქუჩის გაფართებლობას მე მახვევს თავზე და ამბობს: „ავლაბრის ალმართზედ, არსენალისკენ რომ ქუჩა გადისო, არც ერთ ფარანს არა ეხედაეთო; ნუ თუ უ. კასუმოეს ქალაქის ქუჩად არ მიაჩნია ეს ალმართიო?“

აქედამ გამოდის, რომ სადაც ფარნების ნაკლულეანება არის ჩვენ ქუჩებში, უფ. სტალინსკის აზრით, სულ ჩემი დანაშაული ყოფილა.

ამისათეის უფ. „ავკაზის“ რედაქტორს მოეახსენებ, რომ მე ჩემ ნებად ფარნების დადგმის უფლება არაეისგან მაქვს მოცემული, და სადაც ქალაქის გამგეობა არ მიბძანებს, იქ მე ვერ დაედგამ ფარნებსა; და როდესაცკი მომსელია ქალაქის გამგეობისაგან ამ გეარი ბრძანება, მე მაშინვე ყოელის დაუბრკოლებლივ დამიდგამს ნაჩუენებ ალაგებში.

უფ. „ავკაზის“ რედაქტორს ეცნობებ ამას საკულაო მას შენიშვნებისათეის.

თეილისის განათების მეიჯარადრე
Iაგორ ქასუმოეი

3 დეკემბერს

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო მეგაზეთე! ერთი უნდა მოგახსენო რამე ჩვენი გლეხკაცური შეჭირვებისა, და იქნება შეგეგებრალოო და დაბეჭდო. ერთს ჩვენებურს საცალა მოეკრა ყური, რომ თქვენ გებრალებათ ჩვენი გლეხკაცობა და თუ შეგატყობინეს რამე, ჩაბეჭდამთ ხოლმე; ისიც გაიგონე, რომ სუყეელანი, ქალაქში რო უფროსები არიან, ისინიცკი გაიგებენ ხოლმე და იმიტომ, შენი ჭირიმე, ესეც სხვას დაეწერინე და ღმერთი შეილებს გიდღეგრძელებს დაბეჭდე. იქნება მართლა იმ დიდმა უფროსებმა გეიწამლონ რამე! აი, შენი ჭირიმე, რა უნდა მოგახსენო.

ამ თეის პირეელ კეირაში შუაღამისას ექვსი ცხენოსანი კაცი შემოვარდა ჩვენ სოფელში: „ჰაი! მამასახლისიო, სუდიაო, გზირიო, ჩქარა ქერი და ბზე, ქათამი და ღეინო, თორემ ასე გიზამთო, ისე გიზამთო!“ ადგა, შენი ჭირიმე, გზირი, დაუარა სოფელს, ექვსი ქათამი, ბზე, სამი ჩანახი სიმინდი, (ჩვენ სოფელში, ჩვენდა საუბედუროთ, ქერი არ მოდის) პური, ღეინო აეიდა კარგი მიუტანა. როგორც მოგეხსენებათ, წელს ისე მოგეიცდა ეენახები, რო ზედაშეც დაგეანატრულა; არაყი ხო რა ბრძანებაა: ლამის ჭია-ღუა დაგეეხეიოს ამდენ უსასმელობით, გულით რო გეინდომდეს, ერთს თუნგს ეერ გამოეხდით. უწინ მარტო თხლე-ჭაჭაში სულ რო ცოტა ხუთ-ექვს მანეთს ერჩებოდით და ეხლა რალაში გამოეიყენოთ. ნეტაე ის ნება მაინც იყოს, რომ მარტო საშინაოთ ორიოდე თუნგი შეიძლებოდეს კაცმა გამოხადოს, და ეინც კი გაყიდვას გაბედამდეს, თუნგზე თუმანი ჯარიმა გადაახდეეინოთ.

აბა თქვენისთანა პატიოსანი კაცი რო გეეწვიო, რა დაეალეეინოთ: ეენახები გეცლება და თუ არაყი ბორში ეიყიდეთ და სტუმარს პატივი იმითი ეეცით, თუ მოგეასწრეს, მაშინვე გეეტყეიან თქვენ გამოგიხდიათო!

ახლა იმ ექვს კაცს ამიტომ ერთი თუნგი ღეინის მეტი ეერ მოუხერხეთ. ამაზედ, ბატონო, ასტეხეს ჩხუბი: ჰაი ა'ე გიზამთ, ისე გიზამთო! არც მამასახლისი გახლდათ შინა, ის კიდე ბორს იყო! ჩვენს სოფელში საქონლის ჭირია და მოგახსენებენ ნაჩალიკთან რო გამოაცხადოთო, ის კიდეე მთაერობას შეატყობინებსო და ზარალის დაგეარათ სახემწიფო გადასახადს მოუკლებენო; იმასაც მოგახსენებენ, მითომ, თუ მოუსაელობა გაიგეს სადმე, მაშინაც აპატიებენო და რა ეიცი, უეელაფერს ჩამგონები უნდა!.

იმ კაცებს დილითაც ოთხიოდ ქათამი თაეის სამკაულით მიართეეს; მაგრამ ღეინოო და ღეინოო! შეუცეივდნენ და სადაც ის ქათმები მოამზადეს, ხუთ-ექვს კომლს ღეინის ფული ათ-ათი შაური წაართეეს და მერე გაბრაზებულები მიადგნენ გზირს და იმდენი ურტყეს ცხელ-ცხელი მათრახები, რო სულ მტეერი აადინეს. იპრიანა ღმერთმა და იმ დროს ჩვენი მამასახლისიც მოეიდა. მამასახლისი მაგარზე დაუდგა.—„ვინა ხართ თქვენ? აბალე ბძანება გექნებად ნაჩალნიკისაო?“ ამაზედ, როგორ თუ შენ ბძანების მოთხრეა გაგეიბედეო, ახლა მამასახლისს ურტყეს და ურტყეს მათრახები; ამ დროს ხალხიც მიეშეელეთ; უნდა კარგა დაგეებერტყა, მაგრამ მამასახლისმა ნება არ მოგეცა: დეე წაეიდნენ და მე მერე თმოუხერხებო,—უჩიელებო მითომ.

აი, შენი ჭირიმე, ასე კი გეეიუპატიურეს სოფელი; და ახლა არ ეიცით, ეინ იყუენ და ეინ არა ის ოჯახ-ამოსაწყეეტნი, მხოლოდ ერთი ჩაფარიკი ეიცანით. ჩეენმა ბალღოჩინმაც ნახა ეს ანბები და აბა რას იზამდა?

ეს პირეელი მაგალითი კი არ გახლამთ, შარშანაც შერთულში მიეიდნენ ექვსი ოსი; ერთი იმათში ხელებ გაკრული იყო და თოკით მიჰყეანდათ; მისულიყუენ თუ არა:—„აბა ჩქარა სად არი მამასახლისი, პური გეაჭამეთ, ბინა მოგეიცით და ყარაულებიც, ეს ტუსალი არ გეეპაროსო; ეს კაცის მკელელია, და ნაჩალიკმა გამოგეატანაო!“ რასაკეირეელია, ბინაც კარგი მისცეს, საჭმელიც და სასმელიც; ამ ოსებმა ტუსალსაც ხელებში ცოტათი მოუშეეს თოკი და პური აჭამეს, თან კი ლანძღამდენ: „ჰაი სე მაზე საციმბიროთ გაგხდითო და მასინაც ხოცე ბალხიო“ და სხეა ამისთანები. მეორე დილით ამ ოსებმა თაეი დაუკრეს სოფელს, პატიეცემულ ბორელებს, ფილხართ და აღარ შეგაწუხებთ, ყარაულები აღარ გეინდაო, ჩეენც დაეიმორჩილებთ ამ ერთს კაცსაო; სოფელს გასცილდნენ თუ არა, ამ კაცს ხელებიც გაუხსნეს და ფეხებიც; მერე ლიახე გალმიდან ერთი ისეთი შემოსძახეს, რო თქეენი მოწონებული და თან სოფელს უყეიროდენ: „ჰაი დაგატყუეთ თუ არაო?“ და რალას იზამდენ. თურმე ნუ იტყეით, განგებ შეეკრათ ხელები ერთი ამხანაგისთეის და სოფელი ისე მასხარათ აიგდეს. მოგახსენებენ ახალციხისკენ ყაჩაღები სულ დაფა-ზურნით და მაყრულით დადიანო და ერთს ამხანაგს მეფეთ რთამენ, მეორეს დედოფლათაო და ისე უჩაღობენო; ახლა მითომ ჩეენში რალა ნაკლებიაო?

რა ეიცით, ერთი საცოდაეი ბრიყეე ხალხი ეართ, ეეი არ გეესმის და კარგი; ეინც კი ფეხებს დაგეიპარტყუნებს, სუყეელა ნაჩალიკი გეგონია, ყეელა ტყაეს გეაძროხებს. ერთი ეელაც გამგებელი იყო, წრეულს წამოუარა და მეღერეკელები სულ ცემით ამოწყეიტა!

ახლა იმ ექვსმა კაცმა რო ბიაბროობა მოაყენა ჩეენ სოფელს, მითომ არ გადახდებათ? ნეტა ეიცოდეთ მაინც რა საბუთით მოგეექცნენ, შენი ჭირიმე: თუ ფოჩტის ფულის ზეკუცია იყენენ, იმათ იმისი არა უთქეამთ-რა, და თუ გინდ კიდეც ზეკუციაც იყოს, განა სოფლის თაეს კაცს ჩაფარმა უნდა სცემოს?!....

შინდელი გლეხი შანშე

ს. შინდისი, 20 ნოემბერს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სილნაღი, 29 ნოემბერს. ამას წინათ თქვენს პატივცემულ გაზეთში იწერებოდნენ სილნაღიდგან შეწუხებითი გრძნობით, რომ თ. ილია აბხაზის საბძელ-კალო დაწეესო, ავაზაკებიც ალმოჩრდენო, სოფელმაც ოთხას კაცამდინ, განჩინება შეადგინა იმათ დაკარგეაზედაო.

თუ საინტერესო იქნება თქვენთეის, მოგწერთ ამ საქმის თაობაზე შემდეგ რა მოხდა.

სოფლის განჩინებაზედ ბრალდებულების მშობლებმა იჩიელეს, რომ უკანონოთ შეადგინეს განჩინებაო. მართლათაც, ალმოჩნდა გამოძიებით, რომ განჩინების შედგენა ყოფილა ძალით და ხალხიც სიაში მოხსენებული ყოფილან ბევრნი წასულნი რამდენიმე წლით სხეა ქეეყნებში და ზოგნი ალმოჩნდნენ მცირე წლოეანნი, ზოგნიც ერთი სახლიდგან რამდენიც ყოფილან, ყეელას მოუწეერიათ ხელი და ზოგნიც, ერთი და იგინეე, ორგან ჩაწერილან; შეუქუჩებიათ ხალხი იასაულებითა და დარბეითა, იქამდისინ, რომ ზოგს რომ არა ეშოეებოდათრა, ნიორიც კი გამოჰქონდათ სახლიდგან. ამათში სხეადა-სხეა თაეადიშეილებსაც მონაწილეობა მიუღიათ, არ გეინდანაო, ამ საზოგადოების გარეშე გლეხსაც ხელი მოუწეერია, რადგან მოყეარე ყოფილა. ამ თაეადებმა იმ ხსენებულ

ბრალდებულების დაკარგვა ისურვეს იმ.თ არა, რომ მართლა მტყუენები იყვნენ, არამედ იმით, რომ ასიამოვნონ ერთს და აწყენინონ მეორეს. ან ვინ მისცათ ნება გაერიენენ ხალხის ყრილობაში.

ახლა ეს ავაზაკები გამოშეებულები არიან და არც იმ ბოროტების მოქმედნი სჩანან.

თუკი ეს პირნი სიმართლეს ეძებენ, რას აკეთებენ ახლა, პატუთის სოფლებში რო ასე საშინლად გახშირდა ქურდობა? უველა მიგითითებსთ—ვინც არიან ქურდები ჩვენში, მაგრამ პოლიციაც ამაზედ ხმას არ იღებს და არც თავადები. ბევრებენ ყველას თათრები, რომლებიც დასახლებულნი არიან ალაზანს გაღმა და თვით მწყემსებათაც უპირამთ. მცხოვრებნი შიშმილით იხოცებიან უხნაობით, საქონლის ქურდობის გახშირების გამო.

მნახველი

# უცხო ქვეყნები

**სტამბოლის კონფერენცია.** 30 ნოემბერს (12 დეკ.) ყოფილა პირველი ხდომა სტამბოლის კონფერენციის წევრებისა. ზედ კონფერენციის დაწყობამდინაც უმთავრეს სახელმწიფოების წარმომადგენელთ ერთმანეთში მოლაპარაკება ჰქონიათ და, როგორც ამბობენ, რუსეთისა და ინგლისის ელჩები—ლენერალი იგნატიევი და მარკიზ სალსბიური იმ თვითვე დათანხმებულან უმთავრესს საგნებში. ეს თანხმობა რუსეთისა და ინგლისის ელჩებისა ევროპას იმედს აძლევს, რომ შეიძლება მშვიდობიანობა ჩამოვარდეს და ომიანობას თავიდამ მოიშორებენ. პირველსავე სხდომაზედ გადაუწყვეტიათ, რომ მორიგება იმ პირობით მოხდებაო, თუ ჩერნოგორიას ოსმალეთი რამდენსამე მაზრას დაუთმობს ზღვის ნაპირას და სერბიიდამ თუ ჯარებს გამოიყვანს და დიდი-იზვორის ციხეს დაუთმობს ოსმალეთიო.

ოსმალეთი თანხმდება ამ პირობაზე, მაგრამ ამასთანავე თხოულობს, რომ იმის პროვინციებში არცერთ ევროპის სახელმწიფოს თავის ჯარების ჩაყენების უფლება არ უნდა ჰქონდესო.

— ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“ წარმოადგენს წინადადებას, რომლის საშუალობითაც, იმას ჰაზრით, ოსმალეთის სიამაყის დაკმაყოფილებაც შეიძლება და რუსეთის მოთხოვნილებისაც. ეს წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ აჯანყებულ პროვინციებში ევროპის ზედამხედველები (პოლიცია) ჩაყენოს, რომელსაც მინდობილი ექნება თვალ-ყური ადევნოს იმ რეფორმების რიგიანად შესრულებას, რომელსაც ამ ქვეყნებს მიანიჭებს ოსმალოს მმართებლობა და საზოგადოთ ამ მმართებლობის მოქმედებას.

—

**საფრანგეთი.** სამინისტროს კრიზისი გათავდა საფრანგეთში. პარიჟიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ სამინისტროს თავმჯდომარეთ და შინაგან საქმეთა მინისტრად რესპუბლიკის პრეზიდენტს მაკ-მახონს სენატორი შულ სიმონი დაუნიშნავს. ამას გარდა სამინისტროში შესულა კიდევ ერთი ახალი პირი, დანარჩენები ისევ ძველები დარჩენილან.

## ტაძსა *)

—

ი) ჩვენ მეფემან სრულიად იმერეთისა და ერთობით ყოველად-სამღვდელოთა და თავადთა იმერეთისათა დავსდევით განწესება ესე მტკიცე უცვალებულად, რომელ სჯულთა სამოქალაქო და სამართალი მეფობრივე გვაიძულებს ჩვენ თანამდებითა კეთილ-მზრუნველობასა ერისათვის სამეფოსა ჩვენისა, რათამცა საკუთარისათვის სარგებელისა თითეულთასა არა აქვნდეს საზოგადოებასა მწუხარება, ვინაიდგან ცხოვრება სიტყვიერი წარემართების საჭიროთა სახმართა ნივთაგან და სადაცა არს დამჭირნეობა მათი, მუნ არს გამწარება ქვრივთა, ობოლთა და გლახაკთა, რომლისათვისცა თვინიერ სჯულთა მეფობრივთა, ითხოვს სჯულიცა ბუნებითი და უმეტესად სჯულთაცა ბუნებითაცა გვიბრძანებს სჯულის დება ქრისტიანებრი, რათა შეჭირვებულთა და გლახაკთა ერთა-თანა საზოგადოთა აქვნდეს ნუგეშინისცემა ნივთთა შორის საჭიროთა და სახმართაცა.

ამისათვის დავაყენეთ წესი აღშლილი უკანონოსა ეაჭრობისა მოაზრეთაგან საკუთარისა სარგებელისა თვისისათა, და პირველსა ფასსაცე ზედა გადვკვეთეთ ყოველნი საჭირონი და სახმარნი ნივთნი საზრდელთა ანუ სამოსელთანი, რომელნიცა იპოვებიან შინაგან სამეფოსა შინა იმერეთისა და განვაწესეთ, რათა შემდგომად დღეთა ამათ განეაჭრდებოდეს გამსყიდველთა და მსყიდველთაგან ფასითა ქვემო აღწერილითა:

ქ. ღვინო საპანე სამ მარჩილად, სამი დოქი ერთ რუბად. ქ. პური ორი ბათმანი ორ რუბად. ღომი ორი ბათმანი ორ რუბად. ქ. ქერი თუთხმეტ ფარად ბათმანი ორი.

ქ. ჭილოფი კარგი ათ ფარად. ქ. ლობიო და ცერცვი ბათმანი ორი თუთხმეტ ფარად. ქ. ხარი დიდი სრული და მსუქანი ოც მარჩილად, მაზედ ნაკლები თუთხმეტ მარჩილად, გახედნილი ხარი დიდი-თორმეტად და უნცროსი—თერთმეტად, სამი წლისა ხარი ათ მარჩილად, იმაზედ ნაკლე-რად, შეიდათ და ექვსად და წლის ოთხ მარჩილად.

ქ. ძროხა მსუქანი დიდი სრული და მსუქანი შვიანი თორმეტ მარჩილად, უხბო ზროხა დიდი და მსუქანი—ათად, მაზედ ნაკლებ ათ რუბად.

ქ. ცხვარი დიდი ორი წლის მსუქანი ას ფარად, წლისა ორ ყურუშად და კრავი ოთხისა და სამისა თვისა მარჩილად და იმაზე დამცრო ყურუშად.

ქ. თხა ვაცი დიდი და მსუქანი ათ რუბად, ნეზვი დიდი და მსუქანი ფრულად, მაზედ ნაკლე ორ ყურუშად.

ქ. ღორი დიდი და კარგი ტახი ათ რუბად და წლის მარჩილად, ნეზვი კარგი და მსუქანი ფრულად.

ქ. ბოჭი ორისა და სამისა თვისა—რუბად და ნაკლე ათად.

ქ. ძათამი უვერული დიდი ათ ფარად, დედალი რვა ფარად. ვარია ხუთ ფარად, წიწილი ორ ფარად და ფარაღ.

ქვერცხი ხუთი ერთ ფარად.

უველი ჩარექი უმარილო ორ შაურად.

ქ. კარგი ტყავი ფრულად, მდარე ორ ყურუშად.

ქალამანი რუბად.

ქ. ერბო ჩარექი სოფლიდამ ორ რუბად და ქალაქიდგან რუბად.

ქ. ბამორჩეული რწაელი დოში ყურუშად, ნაკლე მაზედ ორ რუბად, გამორჩეული ზურგიელი ყურუშად, მაზე ნაკლე ორ რუბად, კუდა ზურგიელი რუბად, რწაელი წკნელა ოც ფარად კარგი, და მდარე ებაზად.

ქ. კარგი ზუთხი სამ მარჩილად დიდი, მაზე ნაკლე ფრულად, კიდევ მაზედ ნაკლე მორჩილად და მეოთხე მონკრო ზუთხი ყურუშად.

ბამორჩეული ფარგა ათ ფარად, მაზედ ნაკლე ხუთ ფარად, ფანჩხული ჩარექი რუბად და ჩარექი კალმახი აბაზად.

ქ. მენახევრე კოკა ექვს ფარად, ხარა სამ ფარად, დოქი ერთ ფარად, და ლიტრა ფარად.

ქ. სრული დიდი ქოთანი ერთ ფარად, მონკრო ორი ერთ ფარად, დიდი გობი ექვს ფარად, თეფში ორი ერთ ფარად და ჯამი ოთხი ერთ ფარად.

ქ. აფხაზური ბაწარი შაურად და ისე მოძკრო ბაწარი ფარად.

ქ. ოყა ხორცი ხარისა და ძროხისა ერთ შაურად, ასე თხისა, ასე ღორისა.

ქ. ჩარექი ხიზილალა რუბად, ქონის სამთელი კარდი რწეილი ფარად.

ქ. სულ კარგი გამორჩეული ლაფჩინი ქართული—ორ ყურუშად, მდარე მარჩილად; იმერული ლაფჩინი ყურუშად; კარგი ლანჩა რუბად.

ქ. ხახვი ბათმანი ექვს ფარად.

ქ. ძალაქის გამომცხვარი პური ოყა სამ ფარად.

ქ. კარგი სახნისი ხუთ რუბად.

ქ. კარგი დიდი ცული ხუთ რუბად. კარგი თოხი ორ რუბად. წალდი ერთ რუბად.

ქ. ბაუკეთებელი რკინა ერთი ჩარექი ერთ რუბად.

ქ. ერთი დაჭედა ნალი და ლურსმანი ყურუშად.

ორი ბეჭედი აზის მეფესა და დედოფლის და ბენათლის.

ამ ზემო-წერილს ნორმებზედ განწესებულს ფასზედ ვაჭრობა ყველა ქვეყნის ორგულს, ისე უნდა მოეკითხოსთ და ასი მარჩილი ჯარიმა გადახდეს, და კიდევ რომელიც ამ ფასგარდაკვეთილს ნივთებს აქედამ სხვა ქვეყანაში გასაყიდლათ წაიღებს, საქონელი რაც იყოს, დამჭერსა და წამრთმეველს და ასი მარჩილი ჯარიმა ბატონს მეფეს მიერთოს.

დაიწერა წესდებულება ესე მაისის კ, წელსა ჩყს (1808).

*) ეს ძველი, ჩვენი მეფეების დროინდელი ტაქსა გადმოგვცა ჩვენ ერთმა ჩვენმა ნაცნობმა, რომელსაც თავის მხრით კრეინა ბულჩინ ბუგუნავის ასულისაგან მიუღია. სხვა არა იცის რა, ამის წაკითხვა იმისთვის მაინც იქნება საინტერესო, რომ იმ დროინდელი ხორაგეულის და სხვა რაჟეების ფასებს გვაცნობებს. რედ.

# ნარევი

ჩვენ მივიღეთ შემდეგი სანარევო ამბავი სოფლის მასწავლებლის უფ. ა. ცხვედაძისაგან:

„ერთ მთიულს თურმე ძროხა დაეკარგა; ბევრი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. ორი თვე რო გაეიდა, ძროხა თავის ნებით შინ მოვიდა; რამდენიმე თვის შემდეგ ძროხამ მოიგო ირემი—ხბო, ესე იგი ნახევარი ხბოა, ნახევარი ირემი: თავი, კისერი ხბოსი აქვს, ტანი, კუდი, ფეხები სულ ირმისაა; ისე დადის როგორაც ირემი. თვითონ შავი ფერისაა, ბალანკი სულ ირმისა აქვს.

„რადგანაც ამისთანა შემთხვევა არამც თუ იშვიათია, არამედ ჯერ არ გაგონილა, ამიტომ მე ვიყიდე ეს შესანიშნავი ხბო-ირემა მთიულისაგან და სახლში ს. პავთისხევში ვზდი. ახლა მეექვსე თვეშია გადამდგარი.“

* * *

თათრულს გაზეთში—„აკინჩიში“, რომელიც ბაქოს გამოდის, დაბეჭდილია, რომ ლენკორანისკენ, ნიკოლაევის უფროსში, ერთი მალაკანი მუდამ ცხენსა სწველობს და რძეს ოჯახში ხმარობსო.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სასხოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში პავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ პავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი პავთმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი პავთმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი პავთმყოფ., ჭიუჩარინცი—ვენერიული პავთმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან პავთმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი პავთმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი პავთმყოფ. ჭიუჩარინცი—ყურისა და ხირურგიულ პავთმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის პავთმყოფობისა.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება პავთმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის პავთმყოფობისთვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობითა და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალპანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი — ოკტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორების: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფობა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

# განცხადებანი

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, ქალაქის რჩევის გადაწყვეტილების თანახმად, გამგეობის თან-დასწრებით, მომავალ ქრისტეშობის თვის 8-ს დანიშნულია **ვაჭრობა (ტორგი) წყნისა და ზომის შემოსავლის იჯარით აღებაზე** მომავალი წლის პირველ იანვრიდამ სამის წლის ვადით და იმ პირობით, რომელიც ქალაქის გამგეობაში ყველას შეუძლიან ნახვა.

ვისაც ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა საჭირო კანონიერი მოწმობანი და გირაო წარმოადგინოს. გირაო ერთი წლის იჯარის ფულის ნახევარს უნდა უდრიდეს; გირაოდ წარმოდგენილი უნდა იყოს ან ნაღდი ფული, ან კრედიტის ბილეთები, ან სხვა რომელიმე ფასიანი ქაღალდები.

განცხადება შეიძლება შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ან პირადათ, ან დაბეჭდილის კონვერტებით ნაშუადღევის 2—საათამდინ.

ვაჭრობის შედეგი საბოლოოთ ქალაქის რჩევისაგან უნდა იქნეს დამტკიცებული.

(3—3)

## თბილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, ქალაქის რჩევის გადაწყვეტილებისა თანახმად, გამგეობის თან დასწრებით, მომავალი ქრისტეშობის თვის 10-ს დანიშნულია **ვაჭრობა ცხენების ხარჯის იჯარით აღებაზე** მომავალი წლის პირველი იანვრიდამ სამის წლის ვადით, იმ პირობების დაგვარად, რომელიც ყველას შეუძლიან ქალაქის გამგეობაში ნახოს.

ვისაც ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა საჭირო კანონიერი მოწმობანი და გირაო წარმოადგინოს. გირაო ერთი წლის იჯარის ფულის ნახევარს უნდა უდრიდეს, და თვითონ გირაოდ წარმოდგენილი უნდა იყოს ან ნაღდი ფული, ან კრედიტის ბილეთები, ან სხვა რომელიმე ფასიანი ქაღალდები.

განცხადება ქალაქის გამგეობაში შეიძლება შემოიტანონ ან პირადათ ხიტყვიერად და ანუ დაბეჭდილის კონვერტებით, ნაშუადღევის 2-საათამდინ.

ვაჭრობის შემდეგი საბოლოოთ ქალაქის რჩევისაგან უნდა იქმნეს დამტკიცებული.

(3 – 3)

# ᲬᲐᲚᲙᲝᲢᲘ

თქვენი
**დავით გივიშვილისაგან**

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

# LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **პუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Იგი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს იკერება და არა სჩანს.

**შ. ფაი — გამომგონი**

—

# pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—85

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირთაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

**რის ბუტმანი, ქიმიკოსი პემბრიტამ,**

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს ბრიტანეთის ყველა ქვეყნების სასახლეებიდგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოყვარეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და ჰთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

**გამომგონი პასუხს აგებს.**

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**

**ᲞᲠᲔᲘᲡ-ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ:**

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის -- 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კ.

**უმთავრესი დეპოარის თფილისში**, დეკროკოლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; **ვლადიკავკაზში**, სეგალთან. **ალექსანდროვსკის პროსპექტზე.** ლებედევის სახლში; **სტავროპოლში — ჟურილჩენკოსთან.**

აქ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—35

გამოვიდა ბეჭდიდამ **შემოკლებული მხედრული ლოცვანი** გამოცემული მღვდლის დ. ღამბაშ ძისაგან და ისყიდება **თბილისში: ვართანოზის წიგნის მაღაზიაში, ჭუთაისში: სიმონ ჩოჩახიძის ტიპოგრაფიაში და დ. უცირილაში თვითვე გამომცემლის მღ. დ. ღამბაშიძესთან.**

**ლოცვანის შინაარსია:**

ა). დილის ლოცვანი,
ბ). საყოველდღეო ლოცვანი,
გ). ლოცვა ძილად მისვლისა,
დ). ლოცვანი დაკეთილნი გულის.
ე). ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.
ვ). მცირე ეროზა,
ზ). პარაკლისი ღვთის მშობლისა,
ე). სრული თევთმეტყველებადა
თ). მოკლე ხელთაჩმ წლამდე.

**ფასი ყველგან ერთი აბაზი**

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეკათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ჭუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | -- | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ჭუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეკათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:

ფოთისკენ — ხუთშაბ., ნახ.დ. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

### ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ჭუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსპალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

### ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს, ოზურგეთს — ორშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ახალთს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

### ᲒᲘᲠᲩᲐ

პეტერბურგი, 23 ნოემბ.

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 31/3 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 303/4 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 1/2 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველისფასი) | 179 | — |
| მოგებიანი (მეორე ფასი) | 173 | 50 |
| ბირაოს ფუთულები: | | |
| თფილ. საბან. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის (5 1/2) | 79 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის საბაჟო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ.გზის | — | — |
| შაფიზღვის ცეცხ. გემების | 470 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 720 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

### ᲛᲐᲖᲐᲠᲓᲐ

თფილისი, 4 დეკემბ.

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 40 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 80 |
| ბამბა პრევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| ბაჰინტილი ბამბა ფ.. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | — |
| — მარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ძონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ძონის ხანთელი ფუთი. | 5 | 40 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა. ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. . . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | — |
| — ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრეგალე, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფი. | 6 | 20 |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. . | 6 | 75 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Декабря 1876 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი